ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სხდომის

ოქმი N1

*დ. ჩოხატაური*

*10.02. 2023 წელი*

**სხდომის თავმჯდომარე** - ზაალ მამალაძე

**სხდომის მდივანი:** მარიტა მგალობლიშვილი

**სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:**

მარინე ბერაძე, მარიტა მგალობლიძვილი, ნინო კაპანაძე, თეა მამალაძე, მაია გიორგაძე, მანანა მინდაძე, სოფო ჯინჭარაძე.

**არ ესწრებოდნენ:** მარინე თავაძე, ლაშა ირემაძე, ნანა ცინცაძე, ლაშა თოლორდავა, ჯუმბერ ბერძენიშვილი, ქეთევან სიხარულიძე,

სხდომას ასევე ესწრებოდნენ მოწვეული პირები:

- ჩოხატაურის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე არჩილ რამიშვილი და საბჭოს წევრები.
- მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის წარმომადგენელი ლიკა ჩაკალოვი

**სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა და დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს ერთობლივი მოხალისეობრივი კამპანიის დაგეგმვის შესახებ მარტოხელა მოხუცთა დახმარების მიზნით.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 2023 წლის პირველი კვარტლის აქტივობათა დაგეგმვა.

მომხსენებელი: ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი 2022 წლის მერიის, ა(ა)იპ-ებისა და სოციალური პროგრამების სტატისტიკური მონაცემების გაცნობა-განხილვა.

მომხსენებელი:მარიტა მგალობლიშვილი

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მარინე ბერაძემ სხდომას გააცნო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივა, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოსთან ერთად ერთობლივი მოხალისეობრივი კამპანიის დაგეგმვის შესახებ მარტოხელა მოხუცთა დახმარების შესახებ. სხდომის მონაწილეებს წარედგინათ ტექსტი, რომლის მიხედვითაც დაიწყება კამპანია.

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო და ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭო იწყებს საქველმოქმედო მოხალისეობრივ აქციას
- საქველმოქმედო აქცია გათვლილია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველაზე გაუსაძლის პირობებში მყოფი, მარტოხელა მოხუცების დახმარებისთვის.
- საქველმოქმედო აქციაში ჩართვის შესაძლებლობა აქვთ როგორც ფიზიკურ პირებს, ასევე სხვადასხვა კერძო თუ საჯარო ორგანიზაციებს, მეწარმეებს და ა. შ.
- ამ ეტაპზე გროვდება მხოლოდ საკვები პროდუქტი, ასევე ახალგაზრდებს შეუძლიათ მოხალისეობრივად საჭიროებებიდან გამომდინარე დახმარება გაუწიონ მარტოხელა მოხუცებს.

- პროდუქტის შეგროვება ხდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში 11:00 საათიდან 17:00 საათამდე.

- საკონტაქტო პირი: გენდერული თანასწორობის საბჭო: მარინე ბერაძე - 5998036708
  ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო: - არჩილ რამიშვილი - 598307063

პროექტში ასახულ პროგრამებთან და გეგმებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემა არჩილ რამიშვილმა, საბჭოს წევრებმა თათია პაქსაძემ, ნია ჩანტლაძემ. ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭომ წარმოადგინა წინადადება აქციის სახელთან დაკავშირებით, რომელთაგანაც შერჩეულ იქნა „თაობები ერთმანეთისთვის", რომელსაც მხარი დაუჭირა გენდერული თანასწორობის საბჭომ. საბოლოოდ საბჭომ შეიმუშავა კამპანიის დროს გამოსაყენებელი ტექსტი და დაიგეგმა უშუალოდ აქციის განხორციელების ეტაპები ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოსთან ერთად.

სხდომის წევრებს სიტყვით მიმართა საბჭოს თავჯდომარემ, ზაალ მამალაძემ, და წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დაგეგმვა გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2023 წლის პირველ კვარტალში: კოკრეტულად დაიგეგმა საბჭოს მიერ , გადამზადებული ტრენერების მიერ ტრენინგების ჩატარება სამიზნე ჯგუფებთან, და გასვლითი საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება მაღლამთიან სოფელში - ჩხაკაურაში.

ბოლო საკითხი წარმოადგინა საბჭოს მდივანმა მარიტა მგალობლიშვილმა , რომელიც ეხებოდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი 2022 წლის მერიის, ა(ა)იპ-ებისა და სოციალური პროგრამების სტატისტიკური მონაცემების გაცნობა-განხილვა.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა ნინო კაპანაძემ და რამდენიმე განმარტება გააკეთა. მიღებულ იქნა ინფორმაცია რომ სტატისტიკური მონაცემები განთავსდება მუნიციპალიტეტის ვებ . გვერდზე გენდერული საბჭოს შესაბამის ველში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე: ზაალ მამალაძე